



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 მარტი 2025



N 125/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯეოსთილის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში არსებული მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2023 წლის პირველ ივნისს, ქ. რუსთავში შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №247/ს).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, დავით გარეჯისა და მშვიდობის ქუჩებზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 02.07.02.074; 02.07.04.042, 02.07.04.778, 02.07.04.779 და 02.07.02.622). მეტალურგიული საწარმო ძირითად ნედლეულად იყენებს რკინის ჯართს, ცხლად ბრიკეტირებულ რკინას ან/და სხვა ფერად ლითონს და მისი წლიური წარმადობა შეადგენს 300 000 ტონას. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, მეტალურგიული საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი არასახიფათო ნარჩენების (წიდა – კოდი: 10 02 02; ფილტრის ნალექები – კოდი: 10 02 15) საბოლოო განთავსების მიზნით გათვალისწინებულია წიდასაწყარის/ნაგავსაყრელის მოწყობა. თუმცა, კომპანია გეგმავს მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, რომლის ფარგლებშიც წიდასაწყარო/ნაგავსაყრელზე განთავსების ნაცვლად, მოეწყობა წიდასაწყაროს დამამუშავებელი საამქრო. წიდასაწყაროს დამამუშავების შედეგად მიღებული მეტალურგიული ფრაქციები დაბრუნდება მეტალურგიული საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში და გამოყენებული იქნება ნედლეულად. წიდასაწყაროს დამამუშავებელი საამქროს გვერდით კი მოეწყობა მეტალურგიული საწარმოს ფილტრის ნალექების ნაგავსაყრელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წიდასაწყაროს დამამუშავებელი საამქრო და მეტალურგიული საწარმოს ფილტრის ნალექების ნაგავსაყრელი განთავსდება ქ. რუსთავში, შპს „ჯეოსთილის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 02.06.01.055; 02.06.01.054; ჯამური ფართობი: 20 000 მ²), რომლებიც მეტალურგიული საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 5 კილომეტრით. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ემიჯნება შპს „რუსთავის ფოლადის“ დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსებისა და დამამუშავების საწარმო,

რომელზეც 2023 წლის 22 აგვისტოს, სააგენტოს მიერ, გაცემულია №20 სკოპინგის დასკვნა (ბრძანება №424/ს). სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. კალინინო, რომელიც დაშორებულია დაახლოებით 1 800 მეტრით, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, დაახლოებით 730 მეტრში მდებარეობს უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 81.14.1.134). საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია მდ. მტკვარი, რომელიც მიედინება დაახლოებით 10 მეტრში. სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp ფაილების გადამოწმებით, წიდის დამამუშავებელი საამქროს განთავსების ადგილიდან მდ. მტკვრის კალაპოტის კიდემდე დაშორების მანძილი შეადგენს დაახლოებით 215 მეტრს, ხოლო ნაგავსაყრელის განთავსების ადგილიდან – დაახლოებით 70 მეტრს. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორია დაფარულია ადრეულ წლებში შეტანილი წიდითა და სამშენებლო ნარჩენებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, წიდის დამამუშავებელი საამქრო მოეწყობა 4 000 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე და მის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: საყრდენი კედელი, პანდუსი; ბუნკერი; ინერციული მკვებავი; ვიბრაციული გადამყრელი; 3 ერთეული გამწმენდი დოლი; 10 ერთეული ლენტური კონვეიერი; 2 ერთეული მაგნიტური სეპარატორი; მაგნიტური დოლი; ვიბრაციული საცერი; ხელით გადარჩევის კაბინა; მართვის ჯიხური და 10 ერთეული ხარო. მეტალურგიული საწარმოდან წიდის ტრანსპორტირება მოხდება სპეციალური საფარით აღჭურვილი თვითმცლელი ავტომანქანებით, ე. რუსთავის შემოვლითი გზის გამოყენებით, რისთვისაც წლის განმავლობაში შესრულდება დაახლოებით 2 503 სატრანსპორტო ოპერაცია. წიდის დამამუშავებელი საამქროს ტექნოლოგიური პროცესი გულისხმობს წიდის მექანიკურ დამუშავებას (მსხვრევა და სორტირება) და მაგნიტური სეპარაციის გზით მეტალური და არამეტალური ფრაქციების გამოყოფას. დამუშავების შედეგად მიღებული მეტალური ფრაქციების (0-8 მმ; 8-16 მმ; 16-300 მმ) წლიური რაოდენობა იქნება დაახლოებით 16 065 ტონა, ხოლო არამეტალური ფრაქციების (0-16 მმ; 16-60 მმ; 60-300 მმ) წლიური რაოდენობა – 29 835 ტონა. მიღებული მეტალური ფრაქციები დაბრუნდება მეტალურგიულ საწარმოში, ხოლო არამეტალური ფრაქციები გატანილი იქნება სარეალიზაციოდ, რისთვისაც წლის განმავლობაში შესრულდება ჯამურად დაახლოებით 2 294 გადაზიდვა. წიდის დამამუშავებელი საამქროს წარმადობა შეადგენს წელიწადში 474 500 ტონას. დოკუმენტში მითითებულია, რომ წიდის დამამუშავებელ საამქროში განხორციელდება როგორც შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიულ საწარმოში წარმოქმნილი წიდის (45 900 ტ/წელ), ისე საპროექტო ტერიტორიაზე ადრეულ წლებში შეტანილი წიდის ნარჩენების დამუშავება, რომლის რაოდენობაც მოცემული არ არის. შესაბამისად, დასაზუსტებელია წიდის დამამუშავებელ საამქროში წლიურად დასამუშავებელი წიდის რაოდენობა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ წიდის საამქროში არ არის გათვალისწინებული წელიწადში 474 500 ტონა წიდის დამუშავება, დასაბუთებას მოითხოვს აღნიშნული წარმადობით საამქროს მოწყობის საჭიროება. გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემული არ არის წიდის დამამუშავებელ საამქროში წიდის მექანიკური დამუშავების შედეგად მიღებული ე.წ მეტალური და არამეტალური ფრაქციების (ნარჩენები) კოდები და დასახელებები, აგრეთვე, არ არის წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიაზე ისტორიულად დაგროვილი ნარჩენების კოდები, რაოდენობები და შემდგომი მართვის ღონისძიებები, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად. გარდა ზემოაღნიშნულისა, დოკუმენტში მოცემული არ არის წიდის დამამუშავებელი საამქროს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, მითითებული საკითხები საჭიროებს დეტალურ შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მეტალურგიული საწარმოს ფილტრის ნალექების საბოლოო განთავსების მიზნით გათვალისწინებული ნაგავსაყრელი მოეწყობა 12 500 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე, სადაც წლის განმავლობაში განთავსდება 2 475 ტონა ნარჩენი. ნაგავსაყრელი გათვლილია 35 წლის განმავლობაში ჯამურად 86 000 მ³ ნარჩენის განთავსებაზე. ნარჩენები განთავსდება ერთსაფეხურიანი ტერასის სახით, რომლის მაქსიმალური სიმაღლე იქნება 6,5 მეტრი, ხოლო ფერდების დახრილობა არ გადააჭარბებს 35⁰-ს. ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენები დაფასოებული იქნება ე.წ „ბიგ ბეგებში“. ნაგავსაყრელის ტერიტორია მოშანდაკდება და მიეცემა სათანადო ქანობი. ნაგავსაყრელის ძირში დაეფინება ქვიშა, რაზეც განთავსდება გეომემბრანა და გეოტექსტილი, რომელიც კვლავ გადაიფარება ქვიშის ფენით. ნაგავსაყრელის შევსება დაიწყება თანდათანობით, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, ხოლო საპროექტო ნიშნულამდე შევსების შემდგომ, მოხდება მისი გადახურვა და რეკულტივაცია. ნაგავსაყრელის გადახურვამდე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების არინების მიზნით, მოეწყობა სადრენაჟე პერფორირებული მილი და სალექარი ჭა, საიდანაც გაწმენდილი წყალი, 300 მმ დიამეტრის გოფირირებული მილით, ჩაეშვება მდ. მტკვარში (GPS კოორდინატებია: X-502198, Y-4593760). გაწმენდის შემდგომ ჩამდინარე წყლებში არსებული შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს 55-60 მგ/ლ-ს. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მეტალურგიული საწარმოს ფილტრის ნალექების წლიური რაოდენობა შეადგენს 1 275 ტონას, ხოლო სკრინინგის განცხადებაში ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ფილტრის ნალექების წლიური რაოდენობის შესახებ მოცემულია განსხვავებული ინფორმაცია და მითითებულია როგორც 2 475, ისე 2 890 ტონა. ამასთან, გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მეტალურგიულ საწარმოში ასევე წარმოიქმნება მეორეული ხენჯი (კოდი: 10 02 10; რაოდენობა 2 890), რომლის მართვის შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასაზუსტებელია ნაგავსაყრელზე წლიურად განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობა, ასევე ნაგავსაყრელის ტევადობა და სასიცოცხლო ციკლი. ამასთან, ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვის და შემდგომი მოვლის საკითხები საჭიროებს დეტალურ შესწავლას და შეფასებას, „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილების შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, წილის დამამუშავებელი საამქროსა და ნაგავსაყრელის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 1 წლის განმავლობაში. მშენებლობის ეტაპზე, საჭიროების მიხედვით, გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის და რაოდენობის ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სამშენებლო ტექნიკის სადგომი და კონტეინერული ტიპის სათავსები, რომლებიც განკუთვნილი იქნება დასაქმებული პერსონალისა და ოფისისათვის. სამშენებლო მასალა ობიექტზე შევა მზა სახით, ხოლო მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრისა და ტერიტორიის გეგმარებისათვის. მშენებლობის ეტაპზე დასაქმდება დაახლოებით 15 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე – 12 ადამიანი.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. ტერიტორიის ამგები ნალექების სიღრმეში, გაყვანილი იქნა 5 მეტრი სიღრმის ერთი შურფი. გამოვლენილ ჭრილში დაფიქსირდა მოყავისფრო-ნაცრისფერი, ქვიშიან-მტვროვანი, წვრილი და საშუალო ზომის ხრეში. შურფში მიღებულ გეოლოგიურ ჭრილში გამოიყო ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი – თიხნარი, მონაცრისფრო-მოშავო ფერის რბილპლასტიკური, ზოგან ქვიშის თხელი ლინზებით და მცირე ზომის კენჭებით. საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარე არეალში მეწყრული მოვლენები არ აღინიშნება და წყალმოვარდნისგან დამცავი კედლის მოწყობის აუცილებლობა არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნით. მშენებლობის ეტაპზე სასმელი წყლი ობიექტზე შევა ბუტილირებულად, ხოლო სამეურნეო და ტექნიკური წყლით მომარაგების წყაროს შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის. ექსპლუატაციის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულების წყალი აღებული იქნება ქ. რუსთავის წყალსადენის ქსელიდან. როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შეგროვდება ჰერმეტიკულ სეპტიკურ რეზერვუარებში, რომლებიც განიტვირთება პერიოდულად, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ გაბნევის ანგარიშში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა გაანგარიშებულია 45 900 ტონა წიდის დამუშავებისა და 2 890 ტონა ფილტრის ნალექების ნაგავსაყრელზე განთავსებისთვის. თუმცა, ვინაიდან, დასაზუსტებელია როგორც დასამუშავებელი წიდის, ისე ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ფილტრის ნალექების წლიური რაოდენობები, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა. გამომდინარე იქიდან, რომ სამშენებლო სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში, ხოლო მონაცემთა გადამოწმებით საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 730 მეტრით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, უახლოეს მოსახლესთან (ს/კ: 81.14.1.134) ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ემიჯნება შპს „რუსთავის ფოლადის“ დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსებისა და დამუშავების საწარმო, გარემოზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დეტალურ შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. საპროექტო ტერიტორია გამოირჩევა მაღალი ანთროპოგენური დატვირთვით, სადაც მცენარეული საფარი, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და ცხოველთა საბინადრო ადგილები წარმოდგენილი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დადგინდა, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბის, მახასიათებლების და კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებული იქნება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც მოითხოვს დეტალურ შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას. ამასთან, დასაზუსტებელია საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯეოსთილი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯეოსთილს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეოსთილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#!/125-21-4-202503131636>

